

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ფსიქოლოგიური კონსულტაციის და სატრენინგო ცენტრის

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და სატრენინგო ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) არის თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული.
2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.
4. ცენტრს აქვს საკუთარი ქვეანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის გერბით და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ცენტრი განთავსებულია შემდეგ მისამართზე: უნივერსიტეტის მე-3 კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ, N11ა, 0179 თბილისი.

### მუხლი 2. ცენტრის მიზანი

ცენტრის მიზანია ფაკულტეტზე საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა. ცენტრი, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობას და უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

### 2. ცენტრის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სწავლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, კარიერის ეფექტური დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების (დროის მართვა, პრობლემის გადაჭრა, და სწავლის სტრატეგიები და სხვა) შეძენაში;
- ბ) სტუდენტების ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირება მათ პერსონალურ, ფსიქოლოგიურ, სწავლასთან და კარიერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე;
- გ) სატრენინგო პროგრამების შემუშავება და ჩატარება ინტერპერსონალური, კომუნიკაციური და პერსონალური უნარების გასაუმჯობესებლად;

- დ) სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის პრაქტიკული ჩვენებების ათვისებისა და სუპერვიზიის უზრუნველყოფა;
- ე) ფსიქოლოგიური კონსულტირების მიმართულებით აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ლიცენზირებული, მოწვეული კონსულტანტების დახმარებით, რაც საუნივერსიტეტო კურიკულუმის გაუმჯობესებას და საერთაშორისო თანამშრომლობას შეუწყობს ხელს;
- ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა ფსიქოლოგიური კონსულტაციის, პიროვნების ფსიქოლოგიის, განათლების ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიის, ფსიქოთერაპიის, პოზიტიური ფსიქოლოგიის, ინტერპერსონალური ურთიერთობების სფეროებში;
- ზ) ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისა და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიან შესრულებაში მონაწილეობა;
- თ) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ინსტიტუტებთან ურთიერთობა სამაგისტრო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;
- ი) მომავალი ფსიქოლოგების თეორიული და პრაქტიკული მომზადების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ისეთ სფეროებში, როგორცაა ფსიქოლოგიური კონსულტირება, პიროვნების ფსიქოლოგია, კარიერის მართვა, ადამიანური რესურსის მართვა, ინტერპერსონალური ურთიერთობები;
- კ) მომავალი მასწავლებლებისთვის, ფსიქოლოგებისთვის და სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება განათლების ფსიქოლოგიის, კონსულტირების, პოზიტიური ფსიქოლოგიის, ადამიანური რესურსის მართვის, განვითარებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროებში.
- ლ) სასერტიფიკატო პროგრამების მომზადებისა განხორციელების ხელშეწყობა ფაკულტეტზე.

### **მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილებები**

1. ცენტრს მართავს და ცენტრის ხელმძღვანელი არის ცენტრის დირექტორი, რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

1.1. ცენტრის დირექტორი (ხელმძღვანელი):

- ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;
- ბ) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას და წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- გ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
- დ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) უნივერსიტეტის რექტორს არა უგვიანეს მომდევნო წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;

ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს ცენტრის დირექტორის მოადგილე.

4. ცენტრის დირექტორის მოადგილე:

ა) უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;

ბ) აქტიურად მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში;

გ) წარუდგენს ანგარიშს ცენტრის დირექტორს სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

დ) ცენტრის დირექტორის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე ცენტრის დირექტორის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის დირექტორის მოადგილე.

5. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს დირექტორის თანაშემწე.

6. ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და დირექტორის თანაშემწის საქმიანობა ანაზღაურდება ცენტრის მიერ მოზიდული თანხებიდან.

7. ცენტრის დირექტორის მოადგილეს და ცენტრის დირექტორის თანაშემწეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

#### **მუხლი 4. ცენტრის ქონება**

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

#### **მუხლი 5. ცენტრის ფინანსები**

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) ცალკეული ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.